დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის 2020 წლის 19 მარტის № 81 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა 2020 წლის 5 ოქტომბრის №276 , 2022 წლის 6 დეკემბრის N 140120, 2023 წლის 23 ოქტომბრის №35528, 2025 წლის 30 მაისის №3 3921, 2026 წლის 25 მარტის N27786, 2026 წლის 8 მაისის № 40674 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 2

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზანი 3

მუხლი 3. ბიბლიოთეკის რესურსი 3

მუხლი 4. ბიბლიოთეკის ფუნქციები 3

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სტრუქტურა 4

მუხლი 6. ბიბლიოთეკის მომხმარებელი 4

მუხლი 7. ბიბლიოთეკის წევრობა და მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა 4

მუხლი 8. მკითხველის უფლებები 5

მუხლი 9. მკითხველის ვალდებულებები 6

მუხლი 10. სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერით სარგებლობა 7

მუხლი 11. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები 7

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი 8

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მიზანს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ადგენს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და აწესრიგებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე წესით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.3. ბიბლიოთეკა მატერიალურად განთავსებულია უნივერსიტეტის სამ კორპუსში, მისამართებზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №76, სარაჯიშვილის ქ. №17, გივი ჟვანიას ქ. №15.

1.4. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი გურამიშვილის გამზ. №76-ში და გივი ჟვანიას ქ. №15 - ში განისაზღვრება ორშაბათიდან - შაბათის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან 20:00 საათის ჩათვლით. ხოლო სარაჯიშვილის ქ. №17-ში განისაზღვრება ორშაბათიდან - შაბათის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან 23:00 საათის ჩათვლით.

1.5. ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ბეჭედი.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზანი

ბიბლიოთეკის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოებით, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის პოპულარიზაცია.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის რესურსი

3.1. ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნადი და არაწიგნადი ფონდი - ინფორმაციის აუდიო, ვიდეო და ციფრული ვერსიები.

3.2. ბიბლიოთეკას გააჩნია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

3.3. ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.

მუხლი 4. ბიბლიოთეკის ფუნქციები

4.1. ბიბლიოთეკის ფუნქციებია:

ა) საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება და ორგანიზება;

ბ) უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული და სხვა სახის საგანმანათლებლო, სამეცნიერო ქართულენოვანი და უცხოენოვანი გამოცემების სისტემატური შევსება, მათი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;
დ) საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სამკითხველო სივრცეების მოწყობისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება;
ე) საბიბლიოთეკო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, საქართველოსა და სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან, მათ შორის, საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აგრეთვე საქართველოში მოქმედ ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
ვ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სტრუქტურა

5.1. ბიბლიოთეკის სტრუქტურა შედგება:
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, მთავარი ბიბლიოთეკარის, ბიბლიოთეკარი/ბიბლიოთეკარებისგან.
5.2. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას (მაგ.: საორიენტაციო შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.), ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკები ან შესყიდვა), სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარებას.

მუხლი 6. ბიბლიოთეკის მომხმარებელი

ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია:
ა) უნივერსიტეტის სტუდენტს;
ბ) უნივერსიტეტის პერსონალს;
გ) სხვა პირებს, თუ ისინი ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებიან უნივერსიტეტში რაიმე სასწავლო პროგრამით/კურსით.[1]

მუხლი 7. ბიბლიოთეკის წევრობა და მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა

7.1. ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, რისთვისაც მკითხველი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია.

---

[1] *აღნიშნული პირი უფლებამოსილია ბიბლიოთეკის წევრად რეგისტრაციის გარეშე ისარგებლოს ბიბლიოთეკის რესურსით/წიგნადი ფონდით მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ბიბლიოთეკის რესურსით/წიგნადი ფონდით სარგებლობის დასრულების შემდეგ ვალდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელს დაუბრუნოს წიგნადი რესურსი.*

7.2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება სტუდენტის შემთხვევაში ხდება სწავლის პერიოდში ერთხელ. სტუდენტი ინარჩუნებს მკითხველის სტატუსს, მანამ სანამ დაასრულებს საგანმანათლებლო პროგრამას. ხოლო, უნივერსიტეტის თანამშრომლის შემთხვევაში ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება შრომითი ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ერთხელ, თანამშრომელი მკითხველის სტატუსს ინარჩუნებს აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე.
7.3. მკითხველისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წევრის სტატუსის მინიჭების მიზნით, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ახორციელებს ელექტრონულ სისტემაში (openbiblio) და მკითხველის სარეგისტრაციო ბარათში წევრობის მსურველი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ა.შ).
7.4. მკითხველმა სამკითხველო დარბაზში საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის მიზნით ბიბლიოთეკის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის წარმოდგენის შემდეგ, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ახორციელებს ელექტრონულ სისტემაში (openbiblio) მოთხოვნილი წიგნადი რესურსის მოძიებას, რის შემდეგაც მკითხველს გადაეცემა წიგნი/წიგნები. წიგნით სარგებლობის დასრულების შემდეგ, მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელს დაუბრუნოს წიგნი, რის შემდეგაც მკითხველს უბრუნდება სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი.
7.5. მკითხველის მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიიდან წიგნის გატანის შემთხვევაში, მკითხველმა ბიბლიოთეკის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის წარმოდგენის შემდეგ, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ახორციელებს ელექტრონულ სისტემაში (openbiblio) მოთხოვნილი წიგნადი რესურსის მოძიებას, ელექტრონულ სისტემასა და მკითხველის სარეგისტრაციო ბარათში რეგისტრაციას (წიგნის დასახელება, ავტორი, გამოცემის წელი, გატანის ვადა და ა.შ), რის შემდეგაც წიგნი გადაეცემა მკითხველს და უბრუნდება სტუდენტის/თანაშრომლის ბარათი. აღნიშნულ ვადაში წიგნის დაბრუნების კონტროლს ახორციელებს ბიბლიოთეკის თანამშრომელი.
7.6. მკითხველი, რომელიც წყვეტს ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან, კარგავს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის უფლებას.

მუხლი 8. მკითხველის უფლებები

მკითხველს უფლება აქვს:
ა) გაეცნოს საკუთარ უფლება-მოვალეობებს;
ბ) ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგელოს ბიბლიოთეკის ნებისმიერი მომსახურებით, მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსით;

გ) უფასოდ მიიღოს დროებით სარგებლობაში სხვადასხვა საბიბლიოთეკო მასალები გატანის უფლებით ან სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ. გატანაზე ნებართვის შეზღუდვა ხდება ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ, თუ ბიბლიოთეკის ფონდში მკითხველისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემი ერთეულის ეგზემპლარების რაოდენობა 2-ზე ნაკლებია; ამ შემთხვევაში საბიბლიოთეკო ერთეულით სარგებლობა დაიშვება მხოლოდ სამკითხველო დარბაზში. ორზე მეტი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, წიგნის გაცემის ვადა დამოკიდებულია წიგნის რაოდენობასა და მოთხოვნის სიხშირეზე, გასაცემი დღეების რაოდენობა განისაზღვრება 1-7 დღემდე, სახელმძღვანელოები, რომელთა რაოდენობა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 10 ერთეულზე მეტი რაოდენობით, სტუდენტს შეუძლია გაიტანოს მთელი სემესტრით, მხატვრული ლიტერატურა გაიცემა 15 დღის ვადით. პერიოდული გამოცემებით, პრესით, ჟურნალებით, ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით და CD დისკებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

გ[1]) ისარგებლოს ჯგუფური მუშაობის სივრცით, რომელიც წინასწარ უნდა დაჯავშნოს. დაჯავშნა შესაძლებელია სტუდენტური ბაზიდან. სტუდენტმა უნდა აირჩიოს კორპუსი, ოთახი, თარიღი და დრო. ჯავშნის დროს სავალდებულოა თანმხლები პირების ვინაობის მითითება.

დ) მკითხველს უფლება აქვს ამ წესით დადგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით განსაზღვრული მისი უფლებების დარღვევის თაობაზე საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტს, რასაც განიხილავს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისია უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 9. მკითხველის ვალდებულებები

მკითხველი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

ბ) გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის რესურსს;

გ) გაუფრთხილდეს წიგნებს, ბეჭდვით და სხვა სახის, ფონდიდან მიღებულ მასალას და ბიბლიოთეკის ქონებას;

დ) მასალის მიღების მომენტში დეფექტის აღმოჩენისას აცნობოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

ე) მასალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ჩაანაცვლოს იმავე ღირებულების და შინაარსის გამოცემით ან გადაიხადოს წიგნის ღირებულება და წიგნის მოწოდებასთან დაკავშირებული თანხები;

ვ) არ გააკეთოს ფონდებში დაცულ ერთეულებზე ჩანაწერები, არ ამოხიოს ფურცელი, არ გადაკეცოს, ელექტრონული მატარებლები არ დააფორმატოს ან სხვაგვარად დააზიანოს;

ზ) დროულად და ბიბლიოთეკის მიერ დადგენილ ვადებში დააბრუნოს ბიბლიოთეკის ფონდიდან მიღებული გამოცემები, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ისარგებლებს ბიბლიოთეკის მომსახურებით;
თ) საპატიო მიზეზით წიგნის დროულად დაბრუნების ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში, აუცილებლად შეატყობინოს ბიბლიოთეკას გადაცდენის მიზეზი და წიგნის დაბრუნების გონივრული თარიღი;
ი) არ გაიტანოს მასალები სამკითხველო დარბაზიდან ბიბლიოთეკარის ნებართვის გარეშე;
კ) ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში **არ** შეიტანოს საკვები ან/და სასმელი (გარდა წყლისა).
ლ) ბიბლიოთეკის თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტური ბაზის მიერ მინიჭებულ საიდენტიფიკაციო ნომერზე.

მუხლი 10. სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერით სარგებლობა

10.1. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის, მკითხველი მიმართავს ბიბლიოთეკის თანამშრომელს შესაბამისი მასალის მისაღებად.
10.2. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, საჭიროებისამებრ, ვალდებულია დაეხმაროს მკითხველს კომპიუტერით სარგებლობაში.
10.3. კომპიუტერით სარგებლობისას დასაშვებია:
ა) ტექსტების შეყვანა და რედაქტირება;
ბ) ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
გ) ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
დ) CD დისკების გამოყენება დასაშვებია ბიბლიოთეკართან შეთანხმებით;
ე) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
ვ) სასწავლებლის ვებ-გვერდით სარგებლობა;
ზ) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

მუხლი 11. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

11.1. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია, მოწევა, ხმაური, საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება, საკვების ან/და სასმელის შეტანა (გარდა წყლისა), სამკითხველო დარბაზებში განთავსებული კომპიუტერების გამოყენება გასართობი საიტებისთვის, ფილმების ყურება, აზარტული თამაშების თამაში, კომპიუტერების კონფიგურაციის შეცვლა.
11.2. მკითხველის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სანქციები თანმიმდევრულად:

- შენიშვნა;
- გაფრთხილება;
- სამკითხველო დარბაზის დატოვება;

- წიგნის გატანის უფლების შეზღუდვა ერთი თვის ვადით.

11.3. ამ მუხლის 11.2 პუნქტით განსაზღვრული ყველა სანქცია, იმავდროულად ითვალისწინებს ბიბლიოთეკისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

12.1. საკითხები, რომელებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
12.2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
12.3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.